საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთვარელიძე მურად ვასილის ძე

მთვარელიძე მურად ვასილის ძე (დ. 22. VII. 1953, ხაშური), მწერალი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1997). 1978 დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. მისი ლექსები და გამოკვლევები იბეჭდებოდა ალმანახებსა და ჟურნალებში: "პირველი სხივი", "სათავე", "ცისკარი", "მაცნე" და სხვ. მ-მ წერილები მიუძღვნა ს. ჩიქოვანის, მ. ლებანიძის, ნ. სამადაშვილის, ტ. ტაბიძისა და სხვ. ქართვ. პოეტების შემოქმედებას; მონოგრაფიულად შეისწავლა დ. ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც აისახა მის წიგნებში: „დიმიტრი ყიფიანი - ლიტერატორი“ (2018) და „კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი“ (ბიოგრ. რომანი, 2020). ქართ.-უკრ. ლიტ. ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოებულია უკრაინის რესპუბლიკის საელჩოს საპატიო სიგელით (2013).

მ. ავტორია ნაშრომებისა: „მათი პოეზიის მუზა“ (2002); „წიწამურიდან წიწამურამდე“ (2007); „ყიფიანები“ (2008); „წერილები რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე“ (2016); „ტიციანელი“ (2018); „გრაფინია ზარნიკაუ“ (2022) და სხვ.

მ-ის ნაშრომები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999); მიღებული აქვს ე. ჩარენცისა (2007) და ა. წერეთლის (2013) სახ. პრემიები; დ. ყიფიანის სახ. მედალი (2013); არის ქ. ხაშურის საპატიო მოქალაქე (2017).